ქალაქ გორში სტალინის გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის
რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით
გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. გორი 26 სექტემბერი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
მირიან კლიმიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ზურაბ ჯალაღანია - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
მურაზ შიოშვილი - კომისიის აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შესყიდვების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:

თეიმურაზ მანველიშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებიდან, ქალაქ გორში სტალინის გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის და სატენდერო განცხადების ტექსტის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა მურაზ შიოშვილმა კომისიას წარუდგინა სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურიდან მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით შედგენილი სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების და სატენდერო განცხადების პროექტები.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების და სატენდერო განცხადების პროექტები. განსაზღვრა სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 200 (ორასი) ლარით.

კომისიამ დაადგინა:

1. ერთხმად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით აუქციონის გარეშე, ქალაქ გორში სტალინის გამზირი N23 საცხოვრებელი სახლის ეზოს ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით სატენდერო პირობები, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი და სატენდერო განცხადების ტექსტი;
2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 21530 (ოცდაერთი ათას ხუთასოცდაათი) ლარი, დ.ღ.გ-ს ჩათვლით;
3 ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 200 (ორასი ლარი) ლარი;
4 სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული სატენდერო პირობების, გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის, სატენდერო განცხადების ტექსტის და წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: გელა კაპანაძე

კომისიის წევრები: დალი ტლაშაძე

მირიან კლიმიაშვილი

ზურაბ ჯალაღანია

აპარატის წევრი: მურაზ შიოშვილი